## პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

**1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება**

**ძირითადი თემატიკა:**

**ლექსიკოლოგიური ასპექტი**: აქტიური ლექსიკური ფონდი; სიტყვათა დაჯგუფება-განსხვავება შინაარსობრივი და ექსპრესიული თვალსაზრისით; ხატოვანი გამონათქვამები და მარტივი ფრაზეოლოგიზმები.

**გრამატიკული ასპექტი**: წინადადების ძირითადი წევრები: ზმნა-შემასმენელი და მასთან დაკავშირებული მოქმედი პირი (სუბიექტი); ზმნა და საგარემოებო სიტყვები; კავშირები წინადადებაში. სახელის სხვადასხვა ბრუნვის ფორმებს შორის ფუნქციური სხვაობა; ზმნური და სახელური ფორმაცვალება; ტიპობრივი ორთოგრაფიული შეცდომების გასწორების წესები; ძირითადი სასვენი ნიშნები (წერტილი, მძიმე, კითხვისა და ძახილის ნიშნები, ბრჭყალები, ორწერტილი, მრავალწერტილი).

**2. ენის კომუნიკაციური ასპექტები**

**ძირითადი თემატიკა:** საკომუნიკაციო ამოცანა და მიზანი; მიზნობრივი ტექსტის დანიშნულება და ადრესატი. საუბრისა და კამათის თემა; ჯგუფური აქტივობა, სიტუაციური თამაში და კონკრეტული როლი; საბავშვო ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები; კითხვის სტრატეგიები (თემა, მთავარი და მეორეხარისხოვანი გმირები, სათაურისა და ტექსტის აზრობრივი მიმართება). ტექსტის ტიპები: მიზნობრივი ტექსტები (რეცეპტი, სამახსოვრო წესები, აზრა, რეკლამა, განცხადება); ტექსტის ჩასწორების მარტივი ხერხები.

3. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

**ძირითადი თემატიკა:** თანატოლების ცხოვრება, სათავგადასავლო, იუმორისტული ნაწარმოებები, დიდაქტიკური ხასიათის თხზულებები.

**საკითხავი მასალა:** ქართული და მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები, მითები; ადაპტირებული ლიტერატურული ტექსტები, ლირიკული და სიუჟეტიანი ლექსები, პროზაული თხზულებები (მცირე ზომის) დასრულებული ამბით, საინტერესო სიუჟეტით, მკაფიოდ და ნათლად გამოხატული სათქმელით.